როგორ აუმჯობესებენ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას

მხოლოდ ერთად ერთი ადამიანი გამოჩნდა ეხლ. ხ. ჩ. რომელმაც თითქოს შამიბრიკი თეალით შეხედა მას, ეს იყო ექსარხოსი პიტირიმი. ამ უკანასკნელის „ტკბილმა სიტყვებმა“ მართლაც რომ „გულს იმედი ჩაგვისახა; ეამბობ — „ტკბილმა სიტყვებმა“, რადგანაც „ტკბილი საქმის“ გაკეთების ნებას, როგორც თვითონ გვარწმუნებდა, სინოდს მას არ აძლევდა. მაგრამ ჩარხი სხვა ნაირად დატრიალდა: ჩვენი მოქმაგე პიტირიმი დაინიშნა პეტროგრადის მიტროპოლიტად და არამც თუ სინოდს მოეკცა სათაეში, იმ სინოდს, რომელიც მას გზაზე ელობებოდა, პოლიტიკურ მოღვაწეთა წრეშიაც კი თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. ეხლა ყოველმა ქართველმა თავისუფლად ამოისუნთქა: ჩვენს გულშემატკივარ მამას ამდენ ხანს თუ არა ჰქონდა შეძლება „საქმის“ გაკეთებისა, ეხლა ხომ იმას გაკეთებს, რაცა სურსო, ამბობდენ. მართლაც, რამდენიმე „საქმე“ პეტროგრადში ჩასვლისთანავე გაგვიკეთა მან.

პირველ ყოვლისა მან ჩვენ აღგვიდგინა ქუთაისის სემინარია; მართალია, ქუთაისის სემინარიის აღდგენის იდეია იმერეთის ეპისკოპოზს გიორგის ეკუთვნის,—ამან პირველმა აღძრა პიტირიმის წინაშე საჭიროება შუამდგომლობა,—მაგრამ განხორციელება მისი სულ ერთიან პიტირიმის საქმეა. ჩვენ გვეგონა, პიტირიმი ეროვნულ სემინარიას აღგვიდგენდა, ისეთ სემინარიას, სადაც ზომაეული მწყემსები ქართველ ერისა მშობლიურ ენაზე მიიღებდნენ განათლებას; სამწუხაროდ, იმედი არ გაგვიმართლდა: ჩვენ მოგვეცეს ისეთი სემინარია, სადაც ქართული ენის ხსენებაც არ არის, არამც თუ როგორც ყველა საგნების სამოსწავლო ენისა, არამედ როგორც ცერძო საგნისა. ნუ თუ ასეთი სემინარია გააუმჯობესებს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას?

მეორე თვალსაჩინო საქმე ყოვლადსამღვდელო პიტირიმისა არის ალაევრდის კათედრის აღდგენა. თავისთავად ალაევრდელის აღდგენა და მისი შეკაზთში, ხალხთან ახლო, დამკვიდრება კეთილი საქმეა; ეისაც საეკლესიო იდეია და შეგნებული ეპისკოპოზის როლი ცოტად თუ ბევრად კიდეც სწამს, და ინტერესებს, ის მხურვალე თანაგრძნობით შეეგებება ამგვარ აქტს. ეს საკამათო ყოფილა მხოლოდ „ზაკ. რეს“-ისთვის, რომელსაც, რაღაც მოსაზრებით არ მოსწონს ახალი ექსარხოსის ასეთივე გადაწყვეტილება (№ 40,—გორის ეპისკოპოზის გორში დაბინაევების და თბილისში მესამე ქართველ ეპისკოპოზის დანიშვნის შესახებ) და ამბობს: ალაევრდის კათედრის აღდგენა საინტერესო ჩვენთვის უფრო მით იყო, რომ მან გა.ბათილა ის უსამართლო აქტი, რომელმაც გამოიწვია აღნიშნულ კათედრის დახურვა და მისი ხარჯით რუსის საეპისკოპოზოს გახსნა ბაქოში (წერილი „ѣарующій литанинъ“-ისა № 34 თუ 35). მაგრამ ესე არის კი? სამწუხაროდ, ალაევრდელის შესანახათ თანხა ისევ ბაქოს საეპისკოპოზოს ღარჩა, ხოლო აღდგენილ კათედრის შენახვა უმეტეს ნაწილად ისევ ქართველობას დაატვირთეს: 1600 მანეთი მის შესანახად წართვეს ისევდაე გაძვალტყაეებულ და დაჩაგრულ სამღვდელოებას (ძველი სემინარიის შენობის შემოსავლისაგან), 000 მანეთი კი შუამთა-ალაევრდს, რომელსაც თავის თავიც ვერ შეუნახავს. ნუ თუ სინოდს ან მის მეთაურს არ შეეძლო ეს საკითხი ისე მოეწესრიგებია, რომ მისი სიმძიმე ქართველ სამღვდელოებას არ დასწოლოდა კისერზე?

ეს კერძოზი ჩვენ გვაგონებს „დიდების საკითხის“ იმ ბრძნულ გადაწყვეტილებას, რომელიც სინოდმა გამოიტანა პიტირიმის მეთაურობით. გაზეთებში აღნიშნული იყო უკვე, რომ ქართველებმა დიდების ეკლესიის შესანარჩუნებლად, თანახმად სინოდის გადაწყვეტილებისა რუსებს ეკლესია უნდა აუგონ იქვე ახლო, დასახლებულ ეკლესიის, ესე იგი საკუთარის ხარჯით. „ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო“, სწორედ ეს არის: ქართველებმა, რომელთაც თავის თავისთვის ვერ უპატრონებიათ, უნდა სხვას აუგონ ეკლესია, ისიც იმიტომ, რომ საკუთრება, ისტორიული მამაპაპური ნაშთი, შეინარჩუნონ! ნუ თუ სინოდს, რომელიც მილიონებს ხარჯავს კავკასიაში გადმოსახლებულ რუსთათვის ეკლესიების ასაშენებლად, არ შეეძლო საჭირო თანხა გადაედგა დიდებელ რუსებისათვის ეკლესიის ასაგებად, რომ ისიც ჩვენ, ქართველებს დაგვაკისრა?!

ეს ყველაფერი წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც ეხლახან ვცანით. ამას წინად დეპეშამ გადმოგვცა, რომ სინოდს განუზრახავს რუსეთის ეკლესიის „სამიტროპოლიტო ოლქებად“ დაყოფა. სატახტო გაზეთები უფრო ვრცლად ეხებიან ამ პროექტის შინაარსს: მთელი რუსეთის ეკლესია იყოფა რვა სამიტროპოლიტო ოლქად, ერთს მათგანს ერქმევა „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი“; ესე იგი ამიერიდგან საქართველოს ეკლესიის სახელი დოკუმენტებშიც, ქალაქზედაც, კი ჰქრება, ეინაიდგან მას ჰყლაპავს „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი“. 1906—7 წლებში, როდესაც ცნობილმა ვოსტორგოვმა ჩვენი ეკლესიის გათახსირება მოინდომა, უკეთესი საშუალება ვერ გამოძებნა მიზნის მისაღწევად და ეგრედ წოდებულ „წინასწარ კრებას“ სწორედ ასეთი პროექტი წარუდგინა. მაშინდელმა სინოდის წევრებმა ეს პროექტი უფურადღებოდ ღასტოვეს; ეხლა კი, როგორც სჩანს, ვოსტორგოვს ის ადეილად გაუსაღებია. ტერმინი „საქართველოს საექსარხოსო“ თავის შინაარსით კიდეე გეაგონებდა, რომ, თუ ეხლა არა, ოდესღაც მაინც ყოფილა „საქართველოს ეკლესია“: „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქმა“ კი სამუდამოდ დამარხა ეს კანონიკური და ისტორიული ფორმულა, ეინაიდგან ამ „სამიტროპოლიტოში“, რომელიც გადაიქცევა სტავროპოლიდან აზრუმ-სპარსეთის ზღვამდე, ქართველებს და მათ ინტერესებს მეტად მცირე ალაგი ეკავებათ. ნუთუ მიტროპოლიტ პიტირიმს საქართველოს ეკლესიის გაუმჯობესობა და მისი „კანონიერ“ უფლებათა აღდგენა, რასაც ის დამეჯიოთებით გვპირდებოდა, ასე ესმის? „რომელთა ესხენ ყურნი სმენად, ისმინენ“.

მეგობარი